ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3899008

ნომერი: AR1583935

თარიღი : 14.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N16-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკო მუსხელიშვილი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შავლეგო ბერუაშვილი პ/ნ 01019046458
- თბილისი ახტალის გას. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილების, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495, 2013 წლის 5 სექტემბრის №883449, 2014 წლის 3 აპრილის №1198681 ბრძანებების

ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 14 მარტს №AR1583935 განცხადებით მომართა შავლეგო ბერუაშვილმა და ამავე სამსახურის 2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილების, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495, 2013 წლის 5 სექტემბრის №883449 და 2014 წლის 3 აპრილის №1198681 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვა.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომსამსახურის 2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი №16-ის მიმდებარედ არსებულიმიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.017) მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, კომერციული) ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის საფუძველზეც, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495 ბრძანებით, შეთანხმდამრავალფუნქციური ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობისნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 24 დეკემბრიდან2014 წლის24 დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნულის შემდეგ, სამსახურის 2013 წლის 3 სექტემბრის №878428 ბრძანებით ცვლილებაშევიდა 2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტისფუნქციად ნაცვლად მრავალფუნქციური შენობისა (საოფისე, კომერციული), დაფიქსირდა ავტოსერვისი. აღნიშნული ბრძანება განიხილება 2012 წლის28 მაისის №184815 გადაწყვეტილებასთან ერთად.

სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის№883449 ბრძანებით, შეთანხმდა ავტოსერვისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2013 წლის 13 სექტემბრის №897959 ბრძანებით შეთანხმებულიავტოსერვისის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 14 სექტემბრიდან2015 წლის14 სექტემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის№1198681 ბრძანებითკვლავ შეთანხმდა ავტოსერვისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობისნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 03 აპრილიდან2016 წლის03 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2016 წლის 8 აპრილის№2523718 ბრძანებითცვლილება შევიდა 2014 წლის 3 აპრილის №1198681 ბრძანებაში დამშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 3 აპრილისჩათვლით. აღნიშნული ბრძანება განიხილება 2014 წლის3 აპრილის №1198681 ბრძანებასთან ერთად.

ამავე სამსახურის2017 წლის25 მაისის №3266662 ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო, შევიდა ცვლილება2012 წლის28 მაისის №184815 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა და დაფიქსირდა საკადასტროკოდი: №01.17.10.001.130. აღნიშნული ბრძანება ასევე განიხილება 2012 წლის 28 მაისის№184815 გადაწყვეტილებასთან ერთად.

დღეისათვის, საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით, (განაცხადის რეგისტრაცია: №892018178616; მომზადების თარიღი: 01/03/2018 18:11:59) ქ. თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო /რაიონი III, კორპუსი №16-ის მიმდებარედ; ქ. თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქ. №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.141) წარმოადგენს შპს „ფალავანის“ საკუთრებას. წინამდებარე განაცხადით, შპს „ფალავანის“ წარმომადგენელი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: №170842626, რეგისტრაციის თარიღი: 25.07.2017 წ.) ითხოვს სამსახურის 2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილების, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495, 2013 წლის 5 სექტემბრის №883449, 2013 წლის 13 სექტემბრის №897959 და 2014 წლის 3 აპრილის №1198681 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, მესაკუთრეს აღარ აქვს აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. ამასთან, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495 და 2014 წლის 3 აპრილის№1198681 ბრძანებები მშენებლობის ნებართვის ვადის ნაწილში და 2013 წლის 13 სექტემბრის №897959 ბრძანება ვადის გასვლის უკვე ისედაც ძალადაკარგულია.

„ლიცენზიებისა დანებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულისგარდა, არის ნებართვის მფლობელისმოთხოვნა.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველინაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 61-ემუხლებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის34-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდესშავლეგო ბერუაშვილის 2018 წლის 14 მარტს №AR1583935 განცხადება;
2. ძალადაკარგულადგამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის2012 წლის 28 მაისის №184815 გადაწყვეტილება, 2012 წლის 24 დეკემბრის №484495, 2013 წლის 5 სექტემბრის №883449 და 2014 წლის 3 აპრილის №1198681 ბრძანებები.
3. წინამდებარებრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესითგაცნობიდან ერთი თვის ვადაში.